სამშპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ნინო რამიშვილის II ჩიხი №4-ში (ს/კ 01.14.14.005.271), მრავალფუნქციური კომპლექსის 'ც' ბლოკის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, ნინო რამიშვილის II ჩიხი №4-ში (ს/კ 01.14.14.005.271), მრავფუნქციური კომპლექსის 'ც' ბლოკის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

შენობა შედგება 4 ავტოფარეხის, 1 კომერციული და 13 საცხოვრებელი სართულისაგან.

პირობით ნიშნულად 0.000 მიღებულია I სართულის იატაკის ნიშნული, რომელიც შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს 461,7 მ.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა – 8 ბალი;
2. ქარის დატვირთვა – 70 კგძ/მ².;
3. თოვლის დატვირთვა – 50 კგძ/მ².

საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს 1.1 მ სისქის საძირკვლის მონოლითური ფილისა და φ100 სმ, ℓ=16 მ სიგრძის მქონე ხიმინჯების ერთობლიობა.

საძირკვლის მონოლითური ფილა დაფუძნებულია III სგე-ზე- ტბიური ჰორიზონტის ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხოვან გრუნტზე (ფენა 4). საანგარიშო წინაღობით R0=2,5 კგძ/სმ². ფილის ქვემოთ მოწყობილია ხრეშ-კენჭნაროვანი საკომპენსაციო ბალიში, სისქით 30 სმ.

ხიმინჯები დაფუძნებულია II ტბიური ჰორიზონტის ლურჯ თიხოვან გრუნტზე (ფენა 5) 2,0-3.0 მ სიღრმეზე ჩამაგრებით. საანგარიშო წინაღობით R_0=3.0 კგძ/სმ^2.

სარდაფის კედლები – რკინაბეტონის მონოლითური, სისქით 30 სმ.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასი:

მონოლითური სვეტები – კვეთით (50X100, 50X90, 50X80, 50X70, 50X60, 50X50) სმ;

რიგელები – კვეთით (50X60. 40X60, 30X60, 20X60) სმ.

დიაფრაგმები – სისქით 25 სმ.

შენობის სართულშუა გადახურვები განხორციელებულია რკინაბეტონის მონოლითური ფილებით, სისქით 18 სმ.

კარკასის შევსება წვრილი ბლოკით, სისქით 20 სმ.

კიბის კონსტრუქცია – რკინაბეტონის მონოლითური.

საპროექტო შენობას სამხრეთ-დასავლეთიდან ემიჯნება, 10-სართულიანი სარდაფით კარკასული შენობა (საკ. კოდი 01.14.14.005.055), რომლის საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს 0.8 მ. დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯები, სიგრძე 12.5 მ. და საძირკვლის მოლოითური ფილა სისქით 0.8 მ. ერთობლიობა.

მომიჯნავე შენობასა და ასევე ამ შენობისა და საპროექტო შენობის შორის არსებული გზის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მოწყობილია 0.8 მ. დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ფარდა ბიჯით 1.0 მ. , რომელთა ძირის ნიშნული საპროექტო შენობის ფილის ძირის ნიშნულიდან ჩაღმავებულია 3.0 მ-ით.

მონოლითური რკინაბეტონის ხიმინჯების ფარდა იძლევა იმის გარანტიას, რომ საპროექტო შენობის საძირკვლის ძირიდან გადაცემული დატვირთვები არ იმოქმედებენ არსებულ ნაგებობებზე.

კორექტირების შედეგად შენობას დაემატა 1 მიწისქვეშა ავტოფარეხის სართული (ნაწილობრივ ოფისები) შესაბამისად მოხდა შენობის ხელახალი გადაანგარიშება არსებული ცვლილებების გათვალისწინებით.

საპროექტო შენობის, ქვაბულის ფერდის და მომიჯნავე შენობის მდგრადობის გაანგარიშებები, ჩატარებულია გამოთვლითი კომპლექსის „LIRA Sapr 2016“-ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით, შესაბამისად, შენობის მდგრადობა უზრუნველყოფილია და პროექტს ეძლევა ცალსახად დადებითი საექსპერტო შეფასება.

ექსპერტი – საკონსტრუქტორო
განყოფილების უფროსი შ. დოლიძე

04. 11. 2021 წ.